გაერთიანებული სამეფოს მიდგომის საინტერესო ასპექტი არის ის, რომ დღემდე ის ფართოდ იყენებს თვითრეგულაციის და მმართველობის კოდექსს, განვითარებულს თვითონ კორპორატიული სექტორის მიერ. გაერთიანებულ სამეფოში წესად გახდა კოდექსის დაცვა კომპანიებისთვის, მაგრამ დღემდე არ იყო ასახული კორპორაციულ კანონმდებლობაში. კოდექსი დანერგა სერ ადრიან კაღბარის მიერ, ყოფილი კვების ჯგუფი Cadbury Schwepperts, სერ რონი ჰემპელ ICI, და სერ რიჩარდ გრენბარი, ყოფილი Marks and Spencer, რომლებიც საბჭოების პალატაში ხელმძღვანელობდნენ კორპორაციის მუშაობის გაუმჯობესების მიმართულებას.

დაფუძნდა რამდენიმე ძირითადი საკითხი, მათ შორის არის ძალაუფლების გამიჯვნა თავმჯდომარესა და აღმასრულებელ დირექტორს შორის, ცალკეული ინდივიდის აბსოლუტური დომინირების აცილების მეთოდი.

ყურადღება გამახვილებულია ასევე არააღმასრულებლების როლზე. დამოუკიდებელი დირექტორების განვითარების კომიტეტებზე მმართველობით მოხსენებებში დიდი აქცენტი კეთდება ანაზღაურების, აუდიტის და დანიშვნების საკითხებზე.

ხელმძღვანელობის ღირებულება
ყველაზე მტკიცეული საკითხი გაერთიანებულ სამეფოში, როგორც ბოლო დროს შეერთებულ შტატებში, არის დირექტორების ანაზღაურება. გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიზანი იყო სრული საჯაროობა. ამგვარად, კომპანიის მოხსენებები ახლა შეიცავს ინფორმაციას ბონუსების, აქციებით დაჯილდოვების და აქციის არჩევის გეგმების შესახებ.

წყარო: ადაპტირებული Alex Brummer-ის, "Lessons from the European boardroom?" წიგნიდან The NASDAQ International Magazine. (September/October 2002), pp. 54-55. © 2002 NASDAQ International, Ltd. Used by permission. ყველა უფლება დაცულია.


ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციების ორგანიზაცია

რომელ სფეროშიც არ უნდა ვითარდებოდეს თქვენი კარიერა, წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების თუ ბუღალტერიის მიმართულებით, თქვენთვის მნიშვნელოვანია გაიგოთ, როგორ თამაშობს ფინანსური მენეჯმენტი კომპანიის საქმიანობაში. სურათზე 1.1 მოცემულია ჩვეულებრივი საწარმოო კომპანიის ორგანიზაციული სქემა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ფინანსირების ფუნქციას.

კომპანიის სამი ძირითადი ფუნქციონალური განყოფილებიდან ერთი ხელმძღვანელი, ფინანსების ვიცე-პრეზიდენტი ან ფინანსური დირექტორი ჩვეულებრივ პირდაპირ ანგარიშვალდებულია უშუალოდ კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთან. მსხვილ კომპანიებში ფინანსური საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი, იყოფა ორ მიმართულებად, რომლიდანაც ერთს ხელმძღვანელობს ხაზინადარი და მეორეს მთავარი ბუღალტერი.

მთავარი ბუღალტრის ძირითადი პასუხისმგებლობა მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების სფეროს, დანახარჯების ანგარიშგებას, ბიუჯეტის შედგენას და პროგნოზირებას კომპანიის შიდა მოთხოვნებისთვის. საგარეო ფინანსური ანგარიშები წარედგინება IRS-ს (შიდა შემოსავლების სამსახურს), ფასიანი ქაღალდების და ვაჭრობის კომისიას (SEC) და დაინტერესებულ მხარეებს.

ხაზინადარის ვალდებულებები მოიცავს სფეროებს, რომლებიც ყველაზე მეტად უკავშირდება ფინანსურ მენეჯმენტს: ინვესტიციები (ინვესტიციების გრძელვადიანი




სურათი 1.1
ფინანსური მენეჯმენტის ორგანიზაციის ცხრილი

*ბევრმა კომპანიამ, Transamerica Corporation-სა და სხვებმა, დაინტერესებული მხარეების ორგანიზაციულ სქემაში.

დაგეგმვა, საპენსიო ფონდების მენეჯმენტი, კომერციულ ბანკებთან, ურთიერთობის აქტივების მართვა (ფულადი ოპერაციები, კრედიტორული ანგარიშების მართვა), მკითხველს შეიძლება მცდარი წარმოდგენა ბუღალტრის პასუხისმგებლობას შორის ციონირებად კომპანიაში ორივე ამ მიმართულებით. პატარა კომპანიებში ხაზინადარი იყოს გაერთიანებული ერთ თანამდებობაში.

ფინანსური მენეჯმენტის

ეს თავი ჩვენ დავინწყეთ მკითხველი ხელმძღვანელმა, თუ მას სურს თავი გამოავლინოს საკმარისი მოქნილ ცვლილებებს. ბოლო წლებში გამოჩნდა მეთოდები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან თუ დიდი ხნის დროინდელ მიდევნებულ იცვლება ფინანსური მენეჯმენტი ჩვენ გაგაცნობთ ფინანსური მენეჯმენტის სირება იქნება პრინციპების ან საფუძვლის მოგაზრდით უკეთესად ცვლილებების ლობაში.



დაგეგმვა, საპენსიო ფონდების მენეჯმენტი, დაფინანსება (ურთიერთობები საინვესტიციო და კომერციულ ბანკებთან, ურთიერთობები ინვესტირებთან, დივიდენდების გადახდა) და აქტივების მართვა (ფულადი ოპერაციების კონტროლი და რეგულირება, დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების მართვა). ორგანიზაციის სტრუქტურის მოცემულმა სქემამ მკითხველს შეიძლება მცდარი წარმოდგენა შეუქმნას, თითქოს საზინაღარის და მთავარი ბუღალტრის პასუხისმგებლობას შორის შეიძლება გაივლოს ზღვარი. საიმედოდ ფუნქციონირებად კომპანიაში ორივე ამ მიმართულებას შორის წარმოებს ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა. პატარა კომპანიებში საზინაღარის და მთავარი ბუღალტრის ფუნქციები შეიძლება იყოს გაერთიანებული ერთ თანამდებობაში, რაც ინვეს საქმიანობების გაერთიანებას.

ფინანსური სტრუქტურა

ეს თავი ჩვენ დავიწყეთ მკითხველის გაფრთხილებით, რომ თანამედროვე ფინანსურმა ხელმძღვანელმა, თუ მას სურს თავისი კომპანიის განვითარების უზრუნველყოფა, უნდა გამოავლინოს საკმარისი მოქნილობა, რომ წარმატებულად შეეგუოს გარემოს ცვლილებებს. ბოლო წლებში გამოჩნდა კაპიტალის მოზიდვის და ინვესტირების ახალი მეთოდები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში არც თუ დიდი ხნის დროინდელ მიღწევებთან, რომლებმაც გაუძლო პირველ ცვლილებებს. თუმცა იცვლება ფინანსური მენეჯმენტის მეთოდები, პრინციპები არ იცვლება. ჩვენ გაგაცნობთ ფინანსური მენეჯმენტის ყველაზე უახლეს მეთოდებს. ჩვენი ფოკუსირება იქნება პრინციპების ან საფუძვლების აღნიშვნა. ამ გზით, ვფიქრობთ, შევძლებთ მოგამზადოთ უკეთესად ცვლილების შეგუებისთვის მთელი თქვენი კარიერის განმავლობაში.

საფუძვლები

პირველი თავის პირველ ნაწილში ჩვენ განვსაზღვრეთ ფინანსური მენეჯმენტი, რამდენადაც ადრე. თუ განვიხილავთ არისტოტელეს კლანთა სისტემას, ფართოდ გავრცელებულ კორუფციას რომის იმპერიაში, სისხლსა და ტკივილს შუა საუკუნეებში, აღარ ჩავთვალთ კოლონიზაციის ექსპლოატაციას ბოლო ეპოქებში.

პკითხეთ ალისას ეთიკის შესახებ

Business Owner's Toolkit™ Total know-how for small business

ბიზნესის მფლობელთა ინსტრუმენტები მცირე ბიზნესის ნოუ-ჰაუ

ძვირფასო ალის,

ხომ არ გვეტყვით რაიმე ბრძნულს და გამამბნეველებს ჩვენი ეროვნული მორალის კრიზისთან დაკავშირებულ აჟიოტაჟსა და ბიზნესის ეთიკის შესახებ?

ოპტიმისტი ჰავაიში

ძვირფასო ოპტიმისტი,

ღმერთმა გისმინოთ, ამ რთულ დროში ზოგიერთებს კიდევ შერჩათ მორალის უკვდავობის რწმენა. მე არ ვიცი, რატომ უნდა იყოს ბიზნესეთიკა გამოყოფილი საერთო ეთიკიდან, მაგრამ მე მსურს განვსაზღვრო როგორ შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა ერთის ეთიკამ მეორის ბიზნესზე.

საქმიან ადამიანს წარმატების მისაღწევად სჭირდება რამდენიმე ძირითადი ელემენტი. ეს შეიძლება იყოს სპეციფიკური ჩვევები ვაჭრობაში, საკმარისი კაპიტალი, მრავალჯერ მცდელობის სურვილი და საერთოდ კარგი ილბალი. მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რომც არსებობდეს, თუ არ იქნება პატიოსნება, სანარმო ვერ მიაღწევს წარმატებას. - რა სახის ბიზნესი უნდა გადარჩეს კარგი რეპუტაციის გარეშე? და რა არის რეპუტაცია, თუ არა ეთიკა და პატიოსნება?

დარწმუნებული იყავით, დღეს გარე ფაქტორებიდან უფრო მეტი მორალია დანესებული. კანონები და წესები მართავენ ინდივიდებს, კორპორაციებს და ქვეყნებსაც კი უფრო ეფექტიანად, ვიდრე ისინი შეიძლება იმართებოდნენ დამოუკიდებლად. კარგი განზრახვები მშვენიერია, მაგრამ მცირე სტიმული გარეგანი არასოდეს შეუძლის ხელს სამუშაოს შესრულებას. როგორც ფაქტებიდან ჩანს, საზოგადოებაში ადამიანების უმეტესობას ჯერ კიდევ აქვს შიდა მორალური კომპასი და სურთ სწორად აკეთონ საქმე გარეგანი ზეწოლის გარეშეც კი, რაც ნამდვილად იმედის მომცემია.

წყარო: ადაპტირებული; ალის მაგო, "Ask Alice About Ethics." Retrieved from www.toolkit.ech.com/advice/096askalice.asp. ხელახლა გადმოცემული CCH Business Owner's Toolkit ნებართვით, გამოქვეყნება და საავტორო უფლებები დაცულია CCH Incorporated 2700 Lake Cook Road, Riverwoods, Illinois 60015 (www.toolkit.ech.com)

ინსტიტუტების ფუნქციონირება აუცილებელი საბაზო კომპანიები ფინანსურ შეფასება და რისკისა და ლის მე-3, მე-4 და მე-5 ლოვანია სწორი ფინანსური მენეჯმენტის დროს საკითხები ჩვენ უნდა

კომპანი

თუ მე არ მსურს მენეჯმენტის შესწავლა

ბიზნესი

ამის ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ თქვენს ხარისხში არ არის დაინტერესება. წარმოუდგენიათ თქვენს აქვს ლურჯად მმართველი ფინანსური მენეჯმენტის აუცილებელი მომად

ინვესტირების უნდა დაგეგმონ ნაკადები და შემოსავლები საფუძველზე კიდევ გადამსახურებად. ფინანსური საშუალებების შესახებ უნდა იყოს საუბარი მენეჯმენტის დროს

აქტივი

გადაწყვეტილებები მსაქმიანთა მხრიდან უნდა იყოს ეფექტიანი მაქსიმალურად გააღვივდეთ დონე დამოკიდებულება და მოკავშირეობა ნარმოადგენ ტრადიციულ ვადიანი აქტივებს ნაწილ კაპიტალურ სავარაუდო

ინსტიტუტების ფუნქცია, ისევე როგორც სარგებლის განაკვეთები, განიხილება როგორც აუცილებელი საბაზო ინფორმაცია. კერძოდ, გაგარკვევით, როგორ ურთიერთქმედებენ კომპანიები ფინანსურ ბაზრებთან. რა არის ფულის ღირებულება დროში, აქტივების შეფასება და რისკისა და შემოსავლების მჭიდრო ურთიერთკავშირი განიხილილია II ნაწილის მე-3, მე-4 და მე-5 თავებში. ყველა ამ ძირითადი კონცეფციების გაგება მნიშვნელოვანია სწორი ფინანსური გადანყვეტილების მისაღებად. აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალურად ზრდა ძირითადად უკავშირდება შეფასებას და ბალანსის გაგებას ინვესტიციების დროს რისკისა და მომგებიანობას შორის. სწორედ ამიტომ აღნიშნული საკითხები ჩვენ უნდა განვიხილოთ პირველად.

კითხვა

თუ მე არ მსურს გავხდე ფინანსური მენეჯერი, რატომ მჭირდება ფინანსური მენეჯმენტის შესწავლა?

პასუხი

ამის ერთი მიზეზი არის მომავალი სამუშაოსათვის მომზადება. დღეს სულ უფრო მეტი კომპანია ამცირებს თავის მმართველობით პერსონალს, ცდილობენ რაც შეიძლება მჭიდროდ დაუახლოვდნენ კორპორაციული პირამიდის სხვადასხვა დონეს. ეს კეთდება ხარჯების შემცირების და მწარმოებლურობის გაზრდისთვის. შედეგად დარჩენილი თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობები უფრო მეტად ფართოვდება. წარმატებული მენეჯერი უფრო მეტად უნდა იყოს გუნდში მოთამაშე, რომელსაც აქვს ცოდნა და უნარი დაწინაურდეს კარიერაში არა მარტო ვერტიკალურად მმართველ ორგანიზაციაში, არამედ ჰორიზონტალურად. ასეთ ვითარებაში ფინანსური მენეჯმენტის საბაზისო ჩვევების დაუფლება არის სამსახურებრივი წინსვლის აუცილებელი ნაწილი, რომელიც თქვენ დაგჭირდებათ არც თუ ისე შორეულ მომავალში.

ინვესტირებისთვის და აქტივების ეფექტიანად სამართავად ფინანსურმა მენეჯერებმა უნდა დაგეგმონ ჭკვიანურად. ერთის მხრივ, მათ უნდა დააპროექტონ მომავალი ფულის ნაკადები და შემდეგ შეაფასონ ამ ნაკადების ზეგავლენა კომპანიის ფინანსებზე. ამის საფუძველზე კი მათ უნდა დაგეგმონ კომპანიის ლიკვიდურობა ანგარიშების და ვალების გადასახდელად. ამ ვალდებულებებმა შეიძლება აუცილებელი გახადოს დამატებითი ფინანსური საშუალებების მოზიდვა. სამუშაოს კონტროლისთვის, ფინანსურ მენეჯერს ესაჭიროება ზუსტი ნორმების დანერგვა. ეს ნორმები გამოიყენება მიმდინარე დაგეგმილ სამუშაოსთან შედარებისთვის. ფინანსური ანალიზი, დაგეგვა და კონტროლი კარგად არის განხილული ამ წიგნის მესამე ნაწილში, მე-6 და მე-7 თავებში.

■ ■ ■ აქტივების შექმნა და მართვა

გადანყვეტილებები აქტივების მართვაზე მიღებულ უნდა იქნეს აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალურად გაზრდისათვის კომპანიების ძირითად მიზნებთან შესაბამისობაში. მეოთხე ნაწილში ჩვენ განვიხილავთ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება კომპანიების ფულად საშუალებებს, ლიკვიდურ და მომგებიან ფასიან ქალაქებს, დებიტორული ვალდებულებების და მარაგების მართვას. ჩვენ განვიხილავთ საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანი მართვის შესაძლებლობებს, რომელიც გამოიყენება მომგებიანობის მაქსიმალურად გაზრდისთვის. აქტივების მართვის არსებითი შემადგენელი ნაწილი არის ლიკვიდურობის შესაბამისი დონის განსაზღვრა. საბრუნავი კაპიტალის ოპტიმალური დონე დამოკიდებულია ამ დონის თანმხლებ მომგებიანობაზე და მოქნილობაზე დანახარჯებთან დამოკიდებულებაში, რომელიც გამოიყენება მისი შენარჩუნებისთვის. წარსულში, საბრუნავი კაპიტალის მართვა (მიმდინარე აქტივების და მათი მხარდამჭერი ფინანსების) წარმოადგენდა ფინანსური მენეჯერების ძირითად ამოცანას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტრადიციული ფუნქცია კვლავ აგრძელებს არსებობას, მეტი ყურადღება ეთმობა გრძელვადიანი აქტივების და ვალდებულებების მართვას.

V ნაწილში, ინვესტიციების დაგეგმვაში, ჩვენ განვიხილავთ აქტივების შექმნას. კაპიტალური ბიუჯეტირება მოიცავს საინვესტიციო განაცხადების შერჩევას, რომელიც, სავარაუდოდ, მოგებას მოიტანს 1 წლის შემდეგ. თუ საინვესტიციო წინადადება მოითხოვს

საბრუნავი კაპიტალის გაზრდას ან შემცირებას, ეს ცვლილება განიხილება როგორც ინვესტიციების დაგეგმვის გადაწყვეტილების ნაწილი და არა გადაწყვეტილება საბრუნავი კაპიტალზე. რადგან გაურკვეველია საინვესტიციო წინადადებიდან მოსალოდნელი მომავალი მოგება, რისკი აუცილებლად თანმდევია და გასათვალისწინებელი. კომპანიის ბიზნესრისკის თვისებაში არსებულ ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის საბაზრო ღირებულებაზე. ამ მნიშვნელოვანი ზეგავლენის გამო ყურადღება მახვილდება რისკის გაზომვის პრობლემაზე გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტებისათვის, რომელიც ხშირად აძლევს კომპანიის ხელმძღვანელობას განსაზღვრულ შესაძლებლობას შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილებები. ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ მენეჯერული არჩევანის ზეგავლენა პროექტის შერჩევაზე პროექტის მოსალოდნელი მომგებიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კომპანიის აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალურად გაზრდის მიზნებს.

■ ■ ■ აქტივების დაფინანსება

ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი საქმიანობის სფეროა საჭირო ფინანსური საშუალებების მოძებნა აქტივებისათვის. დღეს ხელმისაწვდომია დაფინანსების სხვადასხვა რესურსი, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს სხვადასხვა მახასიათებელი დანახარჯები, გადახდის პერიოდი, ხელმისაწვდომობა, პრეტენზიები აქტივებზე და სხვა პირობები მოთხოვნილი კაპიტალის მომწოდებლების მიერ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ფინანსურმა მენეჯერმა უნდა შეარჩიოს კომპანიის დაფინანსების საუკეთესო ვარიანტი, აგრეთვე აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული აქციონერების მოთხოვნები და თანამონაწილეობა.

მე-6 ნაწილში ჩვენ განვიხილავთ კომპანიის კაპიტალის სტრუქტურას (ან მუდმივი გრძელვადიანი დაფინანსების შემადგენლობას). ჩვენ დეტალურად შევჩერდებით კომპანიის საკუთარ და სასესხო საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხზე, რომ განვსაზღვროთ ფინანსური რისკი და როგორ არის დაკავშირებული ეს რისკი ბიზნესრისკთან (ან მენარმებობასთან). დამატებით, ჩვენ გავაანალიზებთ შემოსავლების შენარჩუნებას, როგორც დაფინანსების წყაროს. რადგან ეს წყარო წარმოადგენს აქციონერებისთვის გადაუხდელ დივიდენდებს. დივიდენდების პოლიტიკა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დაფინანსების პოლიტიკაზე და პირიქით. თუ IV ნაწილი ეძღვნება მოკლევადიანი დაფინანსების სხვადასხვა წყაროს, VII ნაწილში გამოკვლეულია გრძელვადიანი დაფინანსების წყაროები. ორივე მათგანში გადმოცემულია დაფინანსების ალტერნატიული მეთოდების მახასიათებლები, კონცეფციები და პრობლემები.

■ ■ ■ ფინანსური მენეჯმენტის სფეროები და ინსტრუმენტები

მე-8 ნაწილში ჩვენ დაწვრილებით აღვწერთ ფინანსური მენეჯმენტის რამდენიმე განსაკუთრებულ სფეროს, ასევე ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც არის ინვესტირებადი ფასიანი ქაღალდები; ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეიძლება იყოს გაცვლილი სხვა ფასიან ქაღალდებზე და ვარანტებზე. განიხილება ასევე კომპანიების გაერთიანება, სტრატეგიული კავშირები, დაფინანსების შეჩერება და აქტივების გაყიდვა, რესტრუქტურირება და კომპანიის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის საშუალებები. კომპანიების განვითარებას შეიძლება ჰქონდეს შინაგანი, გარეგანი ან ორივე, საშინაო და საერთაშორისო ხასიათი. ბოლოს, რადგან მრავალეროვანი კომპანიები ბოლო დროს გახდა ცნობილი, საინტერესო იქნება კომპანიის განვითარების შესწავლა საერთაშორისო მასშტაბით.

ამგვარად, ფინანსური მენეჯმენტი მოიცავს აქტივების მოპოვებას, დაფინანსებას და მართვას. ეს სამი სფერო არის ურთიერთდაკავშირებული: აუცილებელი აქტივების შეძენის გადაწყვეტილება, აქტივების დაფინანსება და მართვა, სადაც ფინანსირების და მართვის დანახარჯები ზეგავლენას ახდენს ინვესტირების გადაწყვეტილებაზე. ამ წიგნის მთავარი თემა არის კომპანიების გადაწყვეტილება ინვესტირებაზე, დაფინანსებაზე და აქტივების მართვაზე. ერთად აღებული, ეს გადაწყვეტილებები განსაზღვრავს კომპანიების ღირებულებას მისი აქციონერებისთვის. ზემოთ მოცემული კონცეფციების შესწავლა არის ფინანსური მენეჯმენტის როლის გაგების მთავარი გასაღები.

... კომპანიის მენეჯმენტის დაფინანსებას ... მნიშვნელოვანი ზეგავლენის გამო ყურადღება მახვილდება რისკის გაზომვის პრობლემაზე გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტებისათვის, რომელიც ხშირად აძლევს კომპანიის ხელმძღვანელობას განსაზღვრულ შესაძლებლობას შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილებები. ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ მენეჯერული არჩევანის ზეგავლენა პროექტის შერჩევაზე პროექტის მოსალოდნელი მომგებიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კომპანიის აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალურად გაზრდის მიზნებს.

კითხვები

1. ყველა კომპანიას გაუმჯობესდებოდა გაუარესდებოდა? შეადარეთ ერთმანეთს მიზანი.
2. რაში მდგომარეობს შეესაბამება თუ აქ მონაკვეთში (მაგალიტად) დიდრის მაქსიმალურ. ახსენით, რატომ მოიარსებობას?
3. რომელია ფინანსურ დაკავშირებული?
4. შეუძლიათ თუ არა კომპანიას? ჩამოთვალეთ წინააღმდეგი?
5. ბოლო რამდენიმე ათწლეულში გარემოს დაცვასთან, საარსებითად შეზღუდა კომპანიის ცვლილების გაქსიმალურად ზრდასთან?
6. როგორც ინვესტორი, ფინანსურად ხელფასს? ხომ არ ფიქრობთ?
7. როგორ მართავს რისკის და რა არის კორპორაციული კორპორაციულ მართვაში?
8. შეადარეთ ერთმანეთს ხაზით

ფინანსური მენეჯერი

- ფინანსური მენეჯმენტი ეხება აქტივების შექმნას, დაფინანსებას და მართვას განსაზღვრული მიზნების მიხედვით.
- ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციაა გადანაცვლებების მიღება სამი ძირითადი მიმართულებით: აქტივების მოპოვება, დაფინანსება და მართვა.
- ამ წიგნში ჩვენ შევასწავლით, რომ კომპანიების მიზანი მდგომარეობს მათი აქციონერების სიმდიდრის გაზრდაში. აქციონერების სიმდიდრის გაზრდა განისაზღვრება ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ფასით, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელთა გადანაცვლებების შედეგია, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია აქტივების მოპოვებასთან, ფინანსირებასთან და მართვასთან.
- კომპანიების აქციების საბაზრო ფასი მოიცავს ბაზრის ფასს მონაწილის შეფასებას კონკრეტული კომპანიის ღირებულების შესახებ. იგი ითვალისწინებს ახლანდელ სიდიდეს და მომავალ მოგებას აქციაზე; ცვალებადობას დროის მიხედვით, ამ ამონაგებების დროულობას, ხანგრძლივობას და რისკს; შესაბამისი კომპანიის დივიდენდების გადახდის პოლიტიკას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს აქციის საბაზრო ფასზე.
- წარმომადგენლობითი თეორია გვიჩვენებს, რომ მენეჯერების (ნდობამიძღვრეული პირების) მიზნები, განსაკუთრებით რომლებიც მუშაობენ ღია ტიპის მსხვილ სააქციო კომპანიებში, შეიძლება განსხვავდებოდეს აქციონერების (ანუ ნდობის მიმცემის) მიზნებისგან. აქციონერები შეიძლება იყვნენ დარწმუნებულიები იმაში, რომ მენეჯერების გადანაცვლებები მიმარ-

- თულია აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალური ზრდისკენ, იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებულია ხელმძღვანელობის სტიმულირების (ნახალისების) გონივრული სისტემა და თუ ხელმძღვანელობის მოქმედება მუდმივად კონტროლდება.
- აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალური ზრდისკენ მისწრაფება სრულიადაც არ ათავისუფლებს კომპანიას სოციალური პასუხისმგებლობისგან, აუცილებელია კომპანიამ იმოქმედოს სოციალური პასუხისმგებლობით.
- კორპორაციული მმართველობა არის სისტემა, რომელიც კორპორაციები იმართება და კონტროლდება. იგი მოიცავს ურთიერთობებს კომპანიის აქციონერებს, დირექტორთა საბჭოსა და უფროს ხელმძღვანელობას შორის.
- მსხვილ კომპანიებში ფინანსური ფუნქციის შესრულება არის ფინანსურ საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის ან აღმასრულებელი ფინანსური დირექტორის (CFO) პასუხისმგებლობა, რომელიც ძირითადად პირდაპირ პასუხისმგებელია პრეზიდენტთან ან აღმასრულებელ დირექტორთან (CEO). ფინანსური ხელმძღვანელის მიერ შემონეშებული ფინანსური ოპერაციები იყოფა ორ განყოფილებად, ერთი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხაზინადარი და მეორეს - მთავარი ბუღალტერი. მთავარი ბუღალტრის ვალდებულებებია, უპირველეს ყოვლისა, ბუღალტრულ ანგარიშები, მაშინ, როდესაც ხაზინადარის ძირითადი ვალდებულებები მოიცავს სფეროებს, რომელიც ყველაზე მეტად უკავშირდება ფინანსურ მართვას.

კითხვები



1. ყველა კომპანიას რომ ჰქონდა თავისი აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალური გაზრდის მიზანი, გაუმჯობესდებოდა თუ არა ამის შედეგად მთლიანად ადამიანების კეთილდღეობა, თუ პირიქით, გაუარესდებოდა?
2. შეადარეთ ერთმანეთს მოგების მაქსიმალური ზრდის და აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალური ზრდის მიზანი.
3. რაში მდგომარეობს ფინანსური მენეჯმენტის არსი?
4. შეესაბამება თუ არა მოგების გარეშე მუშაობის მიზანი (ნულოვანი მოგება) დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგალითად, სამიდან ხუთ წლამდე) მიზანს, რომელიც გამოიხატება აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალურ ზრდაში?
5. ახსენით, რატომ მოითხოვს ნებისმიერი ფინანსური გადანაცვლებების ეფექტიანობის შეფასება მიზნის არსებობას?
6. რომელია ფინანსური მენეჯერის სამი ძირითადი ფუნქცია? როგორ არის ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული?
7. შეუძლიათ თუ არა კომპანიის მენეჯერებს ფლობდნენ ჩვეულებრივი აქციების მნიშვნელოვან რაოდენობას? ჩამოთვალეთ ასეთი დამოკიდებულების არგუმენტები, რატომ ეთანხმებით ან რატომ ხართ წინააღმდეგი?
8. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოჩნდა მრავალი ნორმატივი, რაც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, სამუშაოზე დაქირავების და მასთან დაკავშირებულ პრინციპებთან, რომლებმაც არსებითად შეზღუდა კომერციული წარმოებების საქმიანობების თავისუფლება. ყველა ამ ნორმატიული ხასიათის ცვლილების გათვალისწინებით, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ აქციონერების სიმდიდრის მაქსიმალურად ზრდასთან დაკავშირებული მიზანი უწინდებურად რეალურია?
9. როგორც ინვესტორი, ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ ზოგიერთი მენეჯერი იღებს ძალიან მაღალ ხელფასს? ხომ არ ფიქრობთ, რომ მათი ანაზღაურება ხდება თქვენი ხარჯებიდან?
10. როგორ მართავს რისკის და სტიმულის ცნება ფინანსური მენეჯერების მოქმედებას?
11. რა არის კორპორაციული მმართველობა? რა როლს თამაშობს კორპორაციული დირექტორთა საბჭო კორპორაციულ მართვაში?
12. შეადარეთ ერთმანეთს ხაზინადარის და მთავარი ბუღალტრის ფუნქციები კომპანიის საქმიანობაში.

რეკომენდებული ლიტერატურა

Ang, James S., Rebel A. Cole, and James Wuh Lin. "Agency Costs and Ownership Structure." *Journal of Finance* 55 (February 2000), 81-106.

Barfield, Richard. "Shareholder Value: Managing for the Long Term." *Accountancy* 108 (October 1991), 100-101.

Barnea, Amir, Robert A. Haugen, and Lemma W. Senbet. "Management of Corporate Risk," in *Advances in Financial Planning and Forecasting*. New York: JAI Press, 1985.

—. *Agency Problems and Financial Contracting*. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall, 1985.

Bernstein, Peter L. *Capital Ideas*. New York: Free Press, 1992.

Birchard, Bill. "How Many Masters Can You Serve?" *CFO* 11 (July 1995), 48-54.

Brennan, Michael. "Corporate Finance Over the Past 25 Years." *Financial Management* 24 (Summer 1995), 9-22.

Brickley, James A., Clifford W. Smith, Jr., and Jerold L. Zimmerman. "Corporate Governance, Ethics, and Organizational Architecture." *Journal of Applied Corporate Finance* 15 (Spring 2003), 34-45.

Chambers, Donald R., and Nelson J. Lacey. "Corporate Ethics and Shareholder Wealth Maximization." *Financial Practice and Education* 6 (Spring-Summer 1996), 93-96.

Chen, Andrew H., James A. Conover, and John W. Kensinger. "Proven Ways to Increase Share Value." *Journal of Applied Finance* 12 (Spring/Summer 2002), 89-97.

Copeland, Tom, Tim Koller, and Jack Murrin. *Valuation: Measuring and Managing the Value of Companies*, 3rd ed. New York: John Wiley, 2000.

Dore, Lucia. "Corporate Governance in Europe." *Shareholder Value* 3 (January/February 2003), 54-59.

Felo, Andrew J., and Steven A. Solieri. "New Laws, New Challenges: Implications of Sarbanes-Oxley." *Strategic Finance* (February 2003), 31-34.

Friedman, Milton. "The Social Responsibility of Business Is to Increase Its Profits." *New York Times Magazine* (September 13, 1970).

Hart, Oliver. *Firms, Contracts and Financial Structure*. Oxford: Oxford University Press, 1995.

Holmstrom, Bengt, and Steven N. Kaplan. "The State of US Corporate Governance: What is Right and What's Wrong?" *Journal of Applied Corporate Finance* 15 (Spring 2003), 8-20.

Jensen, Michael C., and William H. Meckling. "Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure." *Journal of Financial Economics* 3 (October 1976), 305-360.

Jensen, Michael C., and Clifford W. Smith Jr. "Stockholder, Manager, and Creditor Interests: Applications of Agency Theory." In *Recent Advances in Corporate Finance*, ed. Edward I. Altman and Marti G. Subrahmanyam, 93-132. Homewood, IL: Richard D. Irwin, 1985.

McTaggart, James M., Peter W. Kontes, and Michael C. Mankins. *The Value Imperative: Managing for Superior Shareholder Returns*. New York: Free Press, 1994. Chapters 1 and 2 offer an especially good discussion concerning the goal of the firm.

Meggison, William L. "Outside Equity." *Journal of Finance* 55 (June 2000), 1005-1038.

Millman, Gregory J. "New Scandals, Old Lessons: Financial Ethics After Enron." *Financial Executive* 18 (July/August 2002), 16-19.

Rappaport, Alfred. *Creating Shareholder Value: A Guide for Managers and Investors*, rev. ed. New York: Free Press, 1997.

Seitz, Neil. "Shareholder Goals, Firm Goals and Firm Financing Decisions." *Financial Management* 11 (Autumn 1982), 20-26.

Shleifer, Andrei, and Robert W. Vishney. "A Survey of Corporate Governance." *Journal of Finance* 52 (June 1997), 737-783.

Special Issue on International Corporate Governance. *Journal of Financial and Quantitative Analysis* 38 (March 2003). Entire issue (ten articles) devoted to recent empirical and theoretical research in the area of international corporate governance.

Statement on Management Accounting No. 1C (revised). *Standards of Ethical Conduct for Practitioners of Management Accounting and Financial Management*. Montvale, NJ: Institute of Management Accountants, April 30, 1997.

Stewart, G. Bennett. *The Quest for Value*. New York: Harper Business, 1991.

Treynor, Jack L. "The Financial Objective in the Widely Held Corporation." *Financial Analysts Journal* 37 (March-April 1981), 68-71.

Part I of the text's web site, *Wachowicz's Web World* contains links to many finance web sites and online articles related to topics covered in this chapter. (web.utk.edu/~jwachowi/wachow_world.html)